




საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
 MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
 ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
 DEPARTMENT OF LICENSES AND PERMITS

საქართველო, 0114, გულუას ქა, ტელ. 72 72 60

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
 ლიცენზიებისა და ნებართვების
 დეპარტამენტის



ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 6

30 01 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი –
 ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯი“ თბილისი, მარჯანიშვილის ქ.16ა
3. განხორციელების ადგილი – ცაგერის რაიონი, სოფ. ალაპანა
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 27.12.07
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“

II. ძირითადი საპროექტო ბაღაჟყვეტილებანი

ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიზნად ისახავს ლაჯანურჰესის რეაბილიტაციას, შემდგომ ექსპლუატაციას და განსაზღვრულია გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებათა ხასიათი, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების, ასევე ჰესის ექსპლუატაციის ეტაპებზე.

ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს მდ. რიონის აუზში, ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე. წყალსაცავი შექმნილია თაღოვანი კაშხლით მდ. ლაჯანურის ქვემო დინების ვიწრო ხეობაში სოფ. სურბუშთან. ჰესის ძალოვანი კვანძი განთავსებულია სოფ. ალპანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე. ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 1960 წელს. იგი წყალს იღებს 49 მეტრის სიმაღლისა და 127 მეტრის სიგრძის თაღოვანი კაშხლით შექმნილი წყალსაცავიდან, რომლის მთლიანი მოცულობა 25,0 მლნ, სასარგებლო კი 18,0 მლნ მ³-ია. წყალსაცავი შექმნილია მდ. ლაჯანურისა და მდ. ცხენისწყლის ნაწილობრივი ჩამონადენის ბაზაზე. მდინარეზე აგებულია ოთხმალიანი დასაშლელი კაშხალი, რომელიც უზრუნველყოფს 60,0 მ³/წმ წყლის ხარჯის მიწოდებას 1111,16 მეტრი სიგრძის დერივაციულ არხში, საიდანაც მდინარის წყალი 5527 მეტრის სიგრძისა და 5,4 მეტრი დიამეტრის მქონე უდაწნევო დერივაციული გვირაბის მეშვეობით გადადის ლაჯანურის წყალსაცავში. წყალსაცავიდან 2549 მეტრის სიგრძისა და 5,5 მეტრი დიამეტრის მქონე დაწნევითი სადერივაციო გვირაბით წყალი მიეწოდება სოფ. ალპანასთან არსებულ მიწისქვეშა სააგრეგატო ნაგებობას, სადაც დადგმულია „ფრენსისი“-ს ტიპის სამი ტურბინა და სამი გენერატორი, თითოეული 37500 კვტ-ის სიმძლავრის. დაწნევითი სადერივაციო გვირაბის გამტარუნარიანობა 100 მ³/წმ-ის ტოლია. ჰესის გამონამუშევარი წყალი გამყვანი არხით ჩაედინება მდ. რიონში. ჰესის დადგმული სიმძლავრე 112500 კვტ-ს, ხოლო მისი გამომუშავება საშუალო წყლიანობის წელიწადში 438 მლნ. კვტ. საათს შეადგენს.

კაშხლის ძირი განთავსებულია ზღვის დონიდან 502 მეტრზე, ხოლო თხემი 511 მეტრზე. კაშხლის სიმაღლე შეადგენს 9 მეტრს. პროექტის მიხედვით კაშხალზე თევზსავალის მოწყობა არ ყოფილა გათვალისწინებული. წყალმიმღები აღჭურვილია დამცავი გისოსებით (ბადურით), რომლის საშუალებით ხდება მდინარის მიერ შემოტანილი ნარჩენების შეკავება. ნარჩენების გარკვეული რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში ხდება კაშხლის ფარის გახსნა და ნარჩენებს უშვებენ ქვედა ბიეფში მდინარის დინების მიმართულებით. წყალსაცავიდან სადერივაციო არხში წყლის გადასვლა ხდება წყალმიმღების გავლით. წყალმიმღების მდინარეული ნატანისაგან დაცვა ხდება მისი ზღურბლის ფსკერული გამრეცხი გალერეების საშუალებით. ნატანის (ქვიშის) დაგროვება ხდება ქვედა კამერაში, რომლის გარეცხვა მიმდინარეობს ფარების გახსნით და ნალექი გადაედინება ქვედა ბიეფში. კაშხლის ზედა ბიეფში შემოტანილია დიდი რაოდენობით მდინარეული ნატანი და წყალსაცავის ძირითადი ნაწილი შევსებულია. ზედა ბიეფის მარჯვენა ნაპირის ბეტონის ფილების ნაწილი დაზიანებულია და

საჭიროებს აღდგენას. სადერივაციო გვირაბის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. საჭიროებს დაზიანებული 100 მეტრიანი მონაკვეთის ბეტონის სამოსის გაძლიერება და გვირაბის გაწმენდა დანალექი უბეში მასალისაგან.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მომსახურე პერსონალისათვის მოწყობილია ერთ სართულიანი საოპერატორო შენობა. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ქ. ცაგერის წყალსადენის ქსელიდან, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად მოწყობილია საასენიზაციო ორმო, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ქ. ცაგერის სანიტარული დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წყალსაცავის ნაპირების ტალღისმიერი გადამუსავება უმნიშვნელოა. წყალსაცავის მოლაშკრა ხდება სენაკადების მიერ შემოტანილი მყარი ჩამონადენის ხარჯზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მდინარე ლაჯანურის მიერ ხდება დიდი რაოდენობით მყარი ნატანის შემოტანა, რის გამოც სოფ. ლაჯანის დას ოფ. ორბელის ტერიტორიებზე მნიშვნელოვნადაა ამოღებული მდინარის კალაპოტი, რაც წყალმომარაგების შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ბოლო წლებში ადგილი ქონდა საცხოვრებელი ტერიტორიების დატბორვის ფაქტებს, რასაც თან სდევდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალი.

ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ძალოვან კვანძში და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე წლების განმავლობაში არ ჩატარებულა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც ჰესი მუშაობდა გარკვეული შეფერხებებით. მინიმუმამდე შემცირდა ჰესის სიმძლავრე და იგი შეადგენდა 30 მგვტ-ს. დღეის მდგომარეობით მუშაობს ორი აგრეგატი და სიმძლავრე შეადგენს 74,56 მგვტ, ჰესის მესამე აგრეგატის სარემონტო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოსათვის. დადგენილია, რომ რეაბილიტაციას საჭიროებს როგორც ჰიდროტექნიკური ნაგებობები (სადერივაციო არხის და უდაწნეო გვირაბის დაზიანებული მონაკვეთები, ცაგერის წყალსაცავის დამბის და თაღოვანი კაშხლის წყალსაშვები და სხვა), ასევე ძალოვანი კვანძი (ტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები და სხვა).

ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მოსალოდნელია ავარიული სიტუაციები: სამარაგო რეზერვუარიდან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და სამშენებლო ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების (ზეთების) დაღვრა; ხანძრის წარმოქმნა და გავრცელება. ექსპლუატაციის პერიოდში კი შესაძლებელია შემდეგი ავარიული სიტუაციები: ტურბინის და ტრანსფორმატორის ზეთების დაღვრა; ხანძრის წარმოქმნა და გავრცელება; ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაზიანება თანხმლები ნეგატიური პროცესების განვითარებით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საფუძველად უდევს წინამდებარე დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები


1. სარეაბილიტაციო და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები და სამშენებლო ნაგავი ტრანსპორტირებული და უტილიზირებული უნდა იქნეს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე, სათანადო წესებისა და ტექნოლოგიის დაცვით.
2. ექსპლუატაციის დროს, რომ არ მოხდეს ნიადაგის დაბინძურება ზეითი და სხვა ქიმიური ნივთიერებებით საჭიროა დანადგარ-მოწყობილობების რეგულარული შემოწმება. ადგილზე დანადგარების გარეცხვა და სარემონტო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ;
3. სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებამდე სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყოს სანიღვრე წყლების არინებისათვის სადრენაჟო სისტემები და ნავთობდამჭერი დანადგარები, აგრეთვე სამეურნეო-ფეკალური წყლების კომპაქტური გამწმენდი ნაგებობა;
4. განხორციელდეს ცაგერის სათავე ნაგებობისა და წყალგამტარი ნაგებობების (არხი, უდაწნეო გვირაბი) სარეაბილიტაციო სამუშაოები და განხილულ იქნას დასაშლელ კაშხალთან თევზსავალის მოწყობის შესაძლებლობა;
5. დაევალოს ჰესის ადმინისტრაციას მდინარის წყალმცირობის პერიოდში უზრუნველყოს სანიტარული ხარჯის გატარება ცაგერის სათავე ნაგებობისა და თაღოვანი კაშხლის ქვემო ბიეფში, არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %-ს.
6. ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ უზრუნველყოს ლაჯანურჰესის წყალსაცავის აკვატორიაში და მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე გეოდინამიკური პროცესების შესწავლა, საინჟინრო ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც გაითვალისწინებს არსებული მდგომარეობის სტაბილიზაცია-ლიკვიდაციას.
7. რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დროს განხორციელდეს წყალსაცავის ქვაბულის და მასში ჩამდინარე მდინარეების კალაპოტის მყარი ნატანისაგან გაწმენდა;
8. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ შეიძულოს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინოს დასკვნის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გეგმა-გრაფიკი (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და შეთანხმების გათვალისწინებით);
9. ჰიდროელექტროსადგურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის და უსაფრთხოების გაზრდისათვის აუცილებელია სათავე ნაგებობების ზემო ბიეფში, წყალსაცავების გავლენის ზონის გარეთ, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრთან შეთანხმებით, მოეწყოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი წყლის დონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამზომი საგუმავო, ხოლო უშუალოდ სათავე ნაგებობებზე, სანიტარული ხარჯის აღრიცხვის მიზნით, განხორციელდეს წყალსაშვი ნაგებობების ტარირება.
10. წყალსაცავებიდან წყალდიდობის წყლის ხარჯების გატარების ან ავარიულ გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა ჩატარდეს სათავე ნაგებობის ქვემო ბიეფის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებების და გამაფრთხილებელი სისტემების დასახვა-განხორციელება.
11. განხორციელდეს ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსში შემავალი წყალსაცავების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი მორფოდინამიკური (კალაპოტის ნიშნულების ამაღლება, ეროზიული პროცესები სხვა), ჰიდროლოგიური და გეოლოგიური (მეწყერები და სხვა) პროცესების შეჩერება და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

IV. დასკვნა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი „ლაჯანურის პიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე:



მ. მიმინოშვილი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)